

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტის მიმოხილვა

(მესამე წარდგენა)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

თბილისი
2019 წელი


სარჩევი

ძირითადი ფისკალური ინდიკატორები	3
ფისკალური ლიმიტები	4
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	7
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები.....	13
დანართები	23
სახელმწიფო ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლები.	23
სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი	24
სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების/საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით.....	25
სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები პროგრამების/საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით.....	28

ძირითადი ფისკალური ინდიკატორები

კონკრეტული პერიოდისათვის **ფისკალური გარემოს** ანალიზისას მნიშვნელოვანია შეფასდეს ფისკალური პოლიტიკის მიმართულება - ექსპანსიური თუ შემზღუდველი. ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს გადასახადების შემცირების ან ხარჯვითი ნაწილის ზრდის გავლენით დეფიციტის ზრდას, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია ხელი შეუწყოს ეკონომიკის სტიმულირებას ეკონომიკური აქტივობის შენელების დროს. საპირისპირო მიმართულების ფისკალურ ღონისძიებებს წარმოადგენს შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა. ამასთან, არსებითია ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასება ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში, რაც შესაძლებელია შეფასდეს გამოშვების (მშპ-ს) პოტენციური დონიდან ფაქტიური გამოშვების გადახრის მიმართულებითა და ზომით. მაგალითად, ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას და პირიქით, შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური ბუმის პერიოდში ანტიციკლურ ფისკალურ პოლიტიკად მოიხსენიებენ, რამდენადაც ამ შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკური ციკლის გავლენის განეიტრალებას ეკონომიკაზე. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც მისაღებად მიიჩნევა არა ანტიციკლური, არამედ პროციკლური ფისკალური პოლიტიკა, მაგალითად, მაღალი საგარეო დისბალანსის პირობებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მიზნად ისახავს ერთი მხრივ, ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეფასებას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული მიმართულების ანალიზს ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2019-2021 წლებში ბიუჯეტის დეფიციტს (ციკლურად შესწორებული პირველადი სალდო) და, შესაბამისად, დადებით ფისკალურ პოზიციას ემთხვევა მშპ-ის უარყოფითი გაპი, რაც ანტიციკლური ფისკალური ექსპანსიაა და პასუხობს მდგრადი ეკონომიკური განვითარების კარგ პრაქტიკას (ეკონომიკის სტიმულირება შენელების დროს). ამასთან, 2022-2023 წლებში მშპ-ის გაპი დადებითი ხდება, თუმცა ბიუჯეტი კვლავ დეფიციტურია (პროციკლური ექსპანსია - ეკონომიკის სტიმულირება გაუმჯობესების დროს).



ღიაგრამა 1: ფისკალური პოზიცია და მშპ-ის გაპი. წყარო: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.


დამატებითი ინფორმაცია ფისკალური პოლიტიკის მიმართულებისა და ტიპების შესახებ და მიმართულების შესახებ ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების განსხვავებული სცენარების შემთხვევაში წარმოდგენილია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკური პროგნოზების დოკუმენტში.

ფისკალური ლიმიტები

საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ადგენს შემდეგ რიცხოვრივ ფისკალურ შეზღუდვებს (ფისკალურ წესებს):

1. საქართველოს მთავრობის ვალის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს:

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისად, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 23.4 მლრდ ლარს უტოლდება. აღნიშული მაჩვენებელი 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილ ანალოგიურ მაჩვენებელს 3.6 მლრდ ლარით აღემატება. წარმოდგენილი ცვლილება თითქმის თანაბრად არის განპირობებული საშინაო (54%) და საგარეო ვალის (46%) პორტფელის ზრდით. ამასთან, საგარეო ვალის %-ული წილი მთლიანი მთავრობის ვალის მოცულობაში კვლავაც მნიშვნელოვნად აღემატება საშინაო ვალის წილობრივ მაჩვენებელს.



დიაგრამა 2: მთავრობის ვალის კომპოზიციის (2016-2023 წწ.)


2020 წლისთვის მთავრობის ვალის საპროგნოზო მოცულობის 75.8%-ს წარმოადგენს საგარეო ვალი, რომლის 91.3%-ს შეადგენს მრავალმხრივი და ორმხრივი კრედიტორებისგან მოზიდული სესხები, 8.7%-ს კი ევრობონდები. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად საგარეო ვალის დაფარვის მეტნაკლებად თანაბარი დინამიკისა, 2021 წელი შესაძლებელია მიჩნეულ იქნას გამონაკლისად, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში მთავრობას უწევს 500 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ევრობონდების დაფარვა¹, რაც თავისმხრივ ზრდის რეფინანსირების რისკს.

2019 წლის საპროგნოზო მოცულობასთან შედარებით ასევე იზრდება საშინაო ვალის მოცულობა და ჯამურად მთავრობის ვალის 24.2%-ს უტოლდება. აღნიშული, 2019-2020 წლებში საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით არის განპირობებული. საშინაო ვალის უდიდეს წილს კი მთავრობის სახაზინო ობლიგაციები (77.3%) წარმოადგენს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის საგარეო ვალის 33% დენომინირებულია SDR-ში, 35% აშშ დოლარში, 28% ევროში, ხოლო დანარჩენი 4% სხვა ვალუტაში. აღნიშული დივერსიფიკაციის მიუხედავად, მთავრობის საგარეო ვალი კვლავაც მოწყვლადია გაცვლითი კურსის შოკების მიმართ. მთავრობის მიერ მომზადებული ვალის მდგრადობის ანალიზის მიხედვით, მთავრობის ვალი ყველაზე მაღალი მგრძობელობით სწორედ სავალუტო რისკის მიმართ ხასიათდება.

¹ აღნიშულთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა 2019 წლის ბოლომდე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას (წყარო: საქართველოს მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2019-2021)

შესაბამისად, მთავრობის ვალის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის ანალიზისას, საინტერესოა სავალუტო შოკის ეფექტის გათვალისწინებაც.




დიაგრამა 3: მთავრობის ვალის ფარდობა მშპ-სთან (2016-2023 წწ.)

როგორც დიაგრამა #2-დან ჩანს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზების მიხედვით, მთავრობის ვალის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან ხვდება დადგენილი ფისკალურ შეზღუდვის ფარგლებში და საშუალოდ 42%-ს უტოლდება. ხოლო, ნომინალური გაცვლითი კურსის შოკის შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 54%-მდე იზრდება.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს:


საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ბიუჯეტის დეფიციტი არის უარყოფითი მთლიანი სალდო, რომელიც გაიანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2001) სტანდარტის მიხედვით.



დიაგრამა 4: საქართველოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (2016-2023 წწ.)


როგორც დიაგრამა 3-დან ჩანს, 2020-2023 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების სამივე სცენარის შემთხვევაში (საბაზო, ოპტიმისტური და პესიმიისტური), საქართველოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო არ არღვევს ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონით დადგენილ ლიმიტს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2019 წლიდან მთლიანი სალდოს უარყოფით მაჩვენებელი არსებიდან მაღალია გასულ წლებთან შედარებით და საშუალოდ -2.4%-ს უტოლდება.

ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს აღნიშნული ცვლილება ძირითადად გამოწვეულია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ბიუჯეტის შემოსავლების კლებით, სოციალური და საპროცენტო ხარჯისა და არაფინანსური აქტივების ზრდით.



დიაგრამა 4: ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს ცვლილების კომპოზიცია

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ანალიტიკური მიზნისთვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სალდო, რომელთა შედარება მნიშვნელოვანია საერთო სურათის მისაღებად. ამ შემთხვევაში საინტერესოა ფისკალური ბალანსისა (ე.წ. ტრადიციული დეფიციტი) და მოდიფიცირებული დეფიციტის (საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით განსაზღვრული) დინამიკა. აღნიშნული სალდოების განსხვავება განპირობებულია იმით, თუ რას განიხილავს თითოეული გაანგარიშება დეფიციტის დაფინანსების წყაროდ. თუ ფისკალური ბალანსის შემთხვევაში ვალებულებების წმინდა ზრდა და არაფინანსური აქტივების შემცირება (ე.წ. პრივატიზება) განიხილება დეფიციტის დაფინანსების წყაროდ, მოდიფიცირებული დეფიციტის შემთხვევაში არაფინანსური აქტივების შემცირება მიჩნეულია ფისკალური პოლიტიკის/გადაწყვეტილების კომპონენტად. ამასთან, აღნიშნულ მაჩვენებლებზე ფისკალური შეზღუდვა არ ვრცელდება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ 2020-2023 წლებში ორივე სალდო არსებითად აღემატება -3%-ს (იხ. დიაგრამა 4).



დიაგრამა 5: მოდიფიცირებული და ტრადიციული დეფიციტი (2016-2023 წწ.)

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საპროგნოზო მარჯვენებლების მიმოხილვა

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები


2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილი კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მარჯვენებელი ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით იზრდება 514.2 მლნ ლარით (3.7 %-ით) და შეადგენს 14,554 მლნ ლარს, ძირითადად ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების (312 მლნ ლარით) და შემოსავლების (192 მლნ ლარით) მატების გავლენით. შესაბამისად, 2019 წელთან შედარებით შემოსულობების ზრდის მარჯვენებელიც მნიშვნელოვნად იმატებს და აღწევს 12.3%-ს (2019 წელს აღნიშნული მარჯვენებელი 2.1 %-ს შეადგენს, 2018 წელს - 9.3%-ს, ხოლო 2017 წელს - 12%-ს).

	2018 ფაქტი	2019 გეგმა	2020 პროექტი (I-II)	2020 პროექტი (III)	2020 III კვარტალი / 2020 I-II კვარტალი		2020 III კვარტალი / 2019 გეგმა	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
სულ შემოსულობები	12,693.4	12,956.5	14,040.0	14,554.2	514.2	3.7%	1,597.7	12.3%
შემოსავლები	10,595.6	10,540.4	11,035.0	11,226.9	191.9	1.7%	686.5	6.5%
გადასახადები	9,696.0	9,645.0	10,320.0	10,465.0	145.0	1.4%	820.0	8.5%
გრანტები	404.0	390.4	200.0	241.9	41.9	21.0%	-148.5	-38.0%
სხვა შემოსავლები	495.7	505.0	515.0	520.0	5.0	1.0%	15.0	3.0%
არაფინანსური აქტივების კლება	101.0	80.0	120.0	130.0	10.0	8.3%	50.0	62.5%
ფინანსური აქტივების კლება	119.2	120.0	130.0	130.0	0.0	0.0%	10.0	8.3%
ვალდებულებების ზრდა	1,877.6	2,216.1	2,755.0	3,067.3	312.3	11.3%	851.2	38.4%
საბარემო	1,455.3	1,316.1	1,855.0	1,867.3	12.3	0.7%	551.2	41.9%
საშინაო	422.3	900.0	900.0	1,200.0	300.0	33.3%	300.0	33.3%

ცხრილი. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2018-2020 წწ. (მლნ ლარი)


აღსანიშნავია, რომ შემოსულობების ფორმირება ძირითადად ხორციელდება საშინაო წყაროდან (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლება, საშინაო ვალდებულებების ზრდა, გრანტები² ცენტრალური სსიპები-დან/ ა(ა)იპები-დან) მობილიზებული სახსრებით.

2020 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები საგარეო და საშინაო წყაროების მიხედვით (მლნ ლარი)



² საგარეო წყაროდან გრანტების მარჯვენებლიდან ამორიცხულია გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან და აღრიცხულია საშინაო წყაროს მარჯვენებელში

2019 წელთან შედარებით, შემოსულობები საშინაო წყაროდან იმატებს 1,200 მლნ ლარის ოდენობით (მ.შ. გადასახადების - 820 მლნ ლარით, საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების - 300 მლნ ლარის ოდენობით), საგარეო წყაროდან კრედიტების სახით - 551 მლნ ლარის ოდენობით (გრანტების მაჩვენებელი ავლენს კლების ტენდენციას, მცირდება 153 მლნ ლარით). შედეგად, შემოსულობების ზრდის ჯამური მოცულობა შეადგენს 1,598 მლნ ლარს.



შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა, კანონპროექტით განსაზღვრულია 11,227 მლნ ლარით, წინა პროექტთან შედარებით 192 მლნ ლარით მეტი ოდენობით. ზრდა ძირითადად ხორციელდება საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი (145 მილიონიანი) მატების ხარჯზე.

2019 წლის გეგმის მაჩვენებელთან შედარებით შემოსავლების ზრდა 687 მლნ ლარს (6.5%-ს) შეადგენს, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი (8.5%-იანი) მატების გავლენით. რაც შეეხება შემოსავლების სხვა დანარჩენ კომპონენტებს, სხვა შემოსავლები უმნიშვნელოდ იმატებს, ხოლო გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი - 38%-იანი უარყოფითი გადახრით ხასიათდება.

საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა განხილულ იქნას **ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები**, როგორც საბაზისო, ისე მაკროეკონომიკური გარემოს საბაზისოსაგან განსხვავებული სცენარებით. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის თანდართული ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით, 2020 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 12,305 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2019 წლისათვის მოსალოდნელ მაჩვენებელს 8.8%-ით აღემატება.

	2019	2020	2021	2022	2023	
პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი	გადასახადები (მლნ ლარი)	11,606	12,496	13,424	14,416	15,754
	პირდაპირი	4,920	5,338	5,861	6,469	7,129
	არაპირდაპირი	6,686	7,159	7,563	7,948	8,625
მთავრობა	გადასახადები (მლნ ლარი)	11,310	12,305	13,282	14,367	15,596
	პირდაპირი	4,826	5,332	5,751	6,242	6,795
	არაპირდაპირი	6,484	6,973	7,531	8,125	8,801

ცხრილი 2: საგადასახადო შემოსავლები (2019-2023 წწ)


როგორც ცხრილიდან ჩანს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2019 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 11,606 მლნ ლარს, ხოლო 2020 წლისათვის - 12,496 მლნ ლარს, რაც მცირედით აღემატება მთავრობის საპროგნოზო მარჯვენებლებს შესაბამისი პერიოდებისთვის. მოცემულ საპროგნოზო მარჯვენებლებს შორის განსხვავება, თავის მხრივ, უკავშირდება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის საპროგნოზო მარჯვენებლების განსხვავებას მთავრობის საპროგნოზო მარჯვენებლებისაგან.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს, წარმოდგენილი კანონპროექტით 2020 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მარჯვენებელი 10,465 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, 145 მლნ ლარით მეტი ოდენობით, ვიდრე წინა პროექტით იყო წარმოდგენილი. მ.შ. დღგ იზრდება 65 მლნ ლარით, ხოლო აქციზიდან, საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან დაგეგმილია 20-20 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღება (იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მოცულობა უცვლელია).

	2018 ფაქტი	2019 გეგმა	2020 პროექტი (I-II)	2020 პროექტი (III)	2020 III კვარტალი / 2020 I-II კვარტალი		2020 III კვარტალი / 2019 გეგმა	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
საგადასახადო შემოსავლები	9,696.0	9,645.0	10,320.0	10,465.0	145.0	1.4%	820.0	8.5%
საშემოსავლო გადასახადი	2,877.9	3,150.0	3,395.0	3,415.0	20.0	0.6%	265.0	8.4%
მოგების გადასახადი	736.6	855.0	950.0	970.0	20.0	2.1%	115.0	13.5%
დღგ	4,426.9	4,071.0	4,333.5	4,398.3	64.8	1.5%	327.3	8.0%
აქციზი	1,465.7	1,287.0	1,380.0	1,400.0	20.0	1.4%	113.0	8.8%
იმპორტის გადასახადი	73.4	75.0	80.0	80.0	0.0	0.0%	5.0	6.7%
სხვა გადასახადი	115.4	207.0	181.5	201.7	20.2	11.1%	-5.3	-2.6%

ცხრილი . სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, 2018-2020 წწ. (მლნ ლარი)

2019 წლის საგეგმო მარჯვენებელთან შედარებით, 2020 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა გაზრდილია 820 მლნ ლარით (8.5%-ით). ამასთან, ზრდა გათვალისწინებულია ყველა სახის გადასახადის მიხედვით, მათ შორის, მნიშვნელოვნად იმატებს დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადები (შესაბამისად, 327 მლნ ლარით და 265 მლ ლარით).



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლისთვის გადასახადების საპროგნოზო სიდიდეები ძირითადად განსაზღვრულია³ 2019 წლის განახლებული პროგნოზებიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს გადასახადების მოსალოდნელი შესრულების და 2020 წლისთვის ეკონომიკის ნომინალური ზრდის პროგნოზების შესაბამისად, აგრეთვე, სხვა გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ: მოგების გადასახადის საპროგნოზო მოცულობაში გათვალისწინებულია, ასევე, BP-ის მიერ (ახალი ნავთობსადენის აშენებიდან გამომდინარე) მოგების გადასახადის სახით გადასახდელი თანხის ზრდა, ხოლო სააქციზო შემოსავლებში - საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც გაიზარდა თუთუნის დაბეგვრის განაკვეთები (უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი თუთუნის მოხმარება, რადგან თუთუნის დაბეგვრა პრაქტიკაში მინიმალური განაკვეთით ხდებოდა).

2020 წლისთვის **გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 242 მლნ ლარის დონეზე. მათ შორის, ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები შეადგენს 130 მლნ ლარს, საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები 46.9 მლნ ლარს, ხოლო სხვა გრანტები - კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადასაცემი სახსრები - 65 მლნ ლარს.

გრანტების საპროგნოზო მოცულობა, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის წინა ვარიანტთან შედარებით, გაზრდილია 41.9 მლნ ლარით. აქედან: ევროკავშირიდან ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები იზრდება 40 მლნ ლარით (მ.შ. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დამატებით 24 მლნ ლარის, ევროკავშირის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის კი 16.3 მლნ ლარის მიღება), ხოლო საინვესტიციო გრანტების საპროგნოზო მოცულობა იმატებს 1.9 მლნ ლარით, რაც დაკავშირებულია პროფესიული განათლების დაფინანსებისათვის გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მისაღებ თანხებთან (რომელიც წინა პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა).

2019 წლის საგეგმო მაჩვენებელთან შედარებით 2020 წლის გრანტების საპროგნოზო სიდიდე იკლებს 148.5 მლნ ლარით, საბიუჯეტო გრანტების 100 მლნ ლარითა და საინვესტიციო გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლის 53.5 მლნ ლარით შემცირების გავლენით.

საინვესტიციო გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლის შემცირება დაკავშირებულია ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტთან (MCC), რომლის სახით მიმდინარე წლის ბიუჯეტის საგეგმო მოცულობა შეადგენს 63.9 მლნ ლარს, ხოლო 2020 წლის პროექტში კი გათვალისწინებული არ არის,

ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტების კლება მთლიანად დაკავშირებულია ევროკავშირიდან მიმდინარე გრანტების სახით მისაღებ თანხებთან (მ.შ. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხები მცირდება 57 მლნ ლარით, მაკრო-ფინანსური დახმარების პროგრამის (MFA) (EU) ფარგლებში გათვალისწინებული თანხები - 15 მლნ ლარით).

წარმოდგენილი კანონპროექტით, **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მოცულობა, კანონპროექტის წინა ვერსიით წარმოდგენილი მაჩვენებლებთან შედარებით, უმნიშვნელოდ (5 მლნ ლარით), 520 მლნ ლარამდეა გაზრდილი არაკლასიფიცირებული ტრანსფერების მაჩვენებლის ზრდის გავლენით.

³ ფინანსთა სამინისტროს მიერ, სსფ-ის მისიის წარმომადგენლებთან ერთად, 2019 წლის ეკონომიკური და ფისკალური, მ.შ. შემოსავლების შესრულების, მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე

	2018 ფაქტი	2019 გეგმა	2020 პროექტი (I-II)	2020 პროექტი (III)	2020 III პროექტი / 2020 I-II პროექტი		2020 III პროექტი / 2019 გეგმა	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
სხვა შემოსავლები	495.7	505.0	515.0	520.0	5.0	1.0%	15.0	3.0%
შემოსავლები საკუთრებიდან	201.6	196.0	191.0	191.0	0.0	0.0%	-5.0	-2.6%
პროცენტები	103.8	95.0	95.0	95.0	0.0	0.0%	0.0	0.0%
დივიდენდები	70.4	81.0	71.0	71.0	0.0	0.0%	-10.0	-12.3%
<i>სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან</i>	<i>0.4</i>	<i>1.0</i>	<i>1.0</i>	<i>1.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0</i>	<i>0.0%</i>
<i>ეროვნული ბანკის მოგებიდან</i>	<i>70.0</i>	<i>80.0</i>	<i>70.0</i>	<i>70.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0%</i>	<i>-10.0</i>	<i>-12.5%</i>
რენტა	27.5	20.0	25.0	25.0	0.0	0.0%	5.0	25.0%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	94.4	96.7	101.0	101.0	0.0	0.0%	4.3	4.4%
ჭარიმები, სანქციები და საშრავები	78.2	95.0	105.0	105.0	0.0	0.0%	10.0	10.5%
ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	121.4	117.3	118.0	123.0	5.0	4.2%	5.7	4.9%

ცხრილი : სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2018-2020 წლებში (მლნ ლარი).

მიმდინარე წლის ბიუჯეტის საგეგმო მაჩვენებელს სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 15 მლნ ლარით (12%-ით) აღემატება. სხვა შემოსავლების ცალკეული კომპონენტების მხრივ ცვლილებები ძირითადად უკავშირდება სანქციებს, ჭარიმებს, საურავებს (იზრდება 10 მლნ ლარით), ასევე, ტრანსფერებს, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (5.7 მლნ ლარით) და საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლებს (რომელიც იზრდება 4.3 მლნ ლარით).

სხვა შემოსავლების სტრუქტურაში გამორჩეული წილი საკუთრებიდან შემოსავლებს უკავია, რომელიც მთლიანი მოცულობის 37%-ს აღწევს და ნომინალურ გამოსახულებაში 191 მლნ ლარს უტოლდება. აქედან, პროცენტების სახით დაგეგმილია 95 მლნ ლარის, დივიდენდების სახით - 71 მლნ ლარის (მ.შ.ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდი შეადგენს 70 მლნ ლარს, 10 მლნ ლარით ნაკლებს, ვიდრე მიმდინარე წელს იქნა ჩარიცხული), ხოლო რენტის სახით 25 მლნ ლარის მიღება.

რაც შეეხება შემოსულობების სხვა კომპონენტებს, არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების საპროგნოზო სიდიდე, კანონპროექტის წინა ვარიანტთან შედარებით, მცირედით (10 მლნ ლარით) გაზრდილია და შეადგენს 130 მლნ ლარს, რაც 50 მლნ ლარით (62%-ით) აღემატება მიმდინარე წლის საგეგმო მაჩვენებელს. ზრდა მოდის ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მისაღებ შემოსულობებზე, რომლის საპროგნოზო სიდიდე შეადგენს 110 მლნ ლარს, ხოლო მიწის რეალიზაციიდან შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 20 მლნ ლარის დონეზე (ამ მიმართულებით გათვალისწინებულია მიმდინარე წელთან შედარებით 3-ჯერ მეტი ოდენობით შემოსულობის მიღება). რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოსულობებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ბიუჯეტში აღნიშნული მიმართულებით თანხების მიღება გათვალისწინებული არ არის (მიმდინარე წელს ამ მიმართულებით 10 თვეში მიღებულია წლიური გეგმის (13 მლნ ლარი) 125%).

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 130 მლნ ლარის ოდენობით (კანონპროექტის წინა ვარიანტთან შედარებით არ შეცვლილა, 2019 წელთან შედარებით გაზრდილია 10 მლნ ლარით), რაც ძირითადად მოდის სესხების დაბრუნებით მისაღებ თანხებზე.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები განსაზღვრულია 3,067 მლნ ლარის დონეზე, 312 მლნ ლარით მეტი ოდენობით, ვიდრე 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის წინა ვარიანტით იყო წარმოდგენილი. აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებულია საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების⁴ 300 მილიონიანი მატებით, 12 მლნ ლარით კი იზრდება საინვესტიციო კრედიტები. მიმდინარე წლის საგეგმო მარჯვენებელთან შედარებით კი, გათვალისწინებულია 851 მლნ ლარით მეტი საკრედიტო რესურსის მოზიდვა.

	2018 ფაქტი	2019 გეგმა	2020 პროექტი (I-II)	2020 პროექტი (III)	2020 III პროექტი / 2020 I-II პროექტი		2020 III პროექტი / 2019 გეგმა	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
ვალდებულებების ზრდა	1,877.6	2,216.1	2,755.0	3,067.3	312.3	11.3%	851.2	38.4%
საგარეო	1,455.3	1,316.1	1,855.0	1,867.3	12.3	0.7%	551.2	41.9%
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	458.4	385.0	685.0	685.0	0.0	0.0%	300.0	77.9%
საინვესტიციო ბრძელვადიანი კრედიტები	996.9	931.1	1,170.0	1,182.3	12.3	1.1%	251.2	27.0%
საშინაო	422.3	900.0	900.0	1,200.0	300.0	33.3%	300.0	33.3%

ცხრილი: სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდის მაჩვენებლები, 2018-2020 წწ. (მლნ ლარი).

საგარეო ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრების მოცულობა განსაზღვრულია 1,867.3 მლნ ლარის ოდენობით. აქედან, საინვესტიციო კრედიტები შეადგენს 1,182.3 მლნ ლარს (პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაიზარდა 12 მლნ ლარით), სექტორულ რეფორმებთან დაკავშირებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები - 685.0 მლნ ლარს.

2019 წლის საგეგმო მარჯვენებელთან შედარებით, საგარეო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებლის საპროგნოზო მოცულობა გაზრდილია 551 მლნ ლარით. აქედან:

ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების მოცულობა იზრდება 300 მლნ ლარით, რაც ძირითადად დაკავშირებულია სსე-ს კორპორატიზაციისა და ენერგობაზრის რეფორმის პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან - 105 მლნ ლარის, განვითარების პოლიტიკის ოპერაციის (DPO-2019) პროგრამის ფარგლებში მსოფლიო ბანკიდან - 150 მლნ ლარის, ხოლო „მაკროეკონომიკური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში ევროკავშირიდან - 65 მლნ ლარის ოდენობით მისაღები თანხებთან;

საინვესტიციო კრედიტების საპროგნოზო მოცულობა იმატებს 251 მლნ ლარით - მათ შორის: თბილისის ავტობუსების პროექტისათვის (ფაზა II-გაზი) (EBRD) ფარგლებში გათვალისწინებულია 100 მლნ ლარის მიღება, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობისათვის (ADB) - 88 მლნ ლარით მეტი, თბილისი- სენაკი- ლესელიძის საავტომობილო გზის უბისა-შორაპანის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობისათვის (EIB) - კი - 69 მლნ ლარით მეტი თანხების ათვისება.


რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებს, წინა პროექტით გათვალისწინებულ მარჯვენებელთან შედარებით (რომელიც განსაზღვრული იყო 2019 წლის საგეგმო მარჯვენებლის დონეზე) გაზრდილია 300 მლნ ლარით და შეადგენს 1,200 მლნ ლარს⁵.

⁴ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებული წმინდა შემოსულობა

⁵ ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, დამატებითი რესურსების მოზიდვა უკავშირდება ქვეყანაში ფინანსური რეზერვების შექმნას: 2021 წელს იწურება 2011 წელს გამოშვებული ევრობონდების ვადიანობა და საჭირო იქნება მათი რეფინანსირება ან გამოსყიდვა (ამასთან, თავისუფალი მარაგის არსებობა, თავის მხრივ გარკვეულ გავლენას ახდენს გამოსყიდვისა და რეფინანსირების პროცესზე).


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 14,432.9 მლნ ლარის დონეზე, რაც თავდაპირველ და გადამუშავებულ პროექტებთან შედარებით 221.0 მლნ ლარით (1.6%) არის გაზრდილი, 2019 წლის საგეგმო მარჯვენებელს 1,119.8 მლნ ლარით (8.4%-ით), ხოლო 2018 წლის ფაქტობრივ მარჯვენებელს კი - 1,842.7 მლნ ლარით (14.6%-ით) აღემატება. დიაგრამაზე მოცემული წლების მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების საშუალო ზრდის ტემპი დაახლოებით 8%-ს შეადგენს. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 91.5% საბიუჯეტო სახსრებზე მოდის, 8.2% და 0.3% კი, შესაბამისად, კრედიტებსა და გრანტებზე ნაწილდება.




გადასახდელების ცალკეული კომპონენტების მიხედვით⁶, ბოლო წლების ანალიზი ცხადყოფს, რომ გადასახდელების საერთო მოცულობაში ხარჯების წილი კლების ტენდენციით ხასიათდება და 84%-დან 75%-მდე შემცირებული, საპირისპირო სურათს ავლენს არაფინანსური აქტივების ზრდის მარჯვენებელი, რომელიც 9%-დან 15%-ის ოდენობამდე არის გაზრდილი. ზრდის ტენდენციას ავლენს, ასევე, ვალდებულებების კლების მარჯვენებელი და ის 2020 წლისათვის 7%-ს უტოლდება, ფინანსური აქტივების ზრდის მარჯვენებელი კი კლების ტენდენციით ხასიათდება და 2020 წლის პროექტის მიხედვით მისი მოცულობა 2% შეადგენს.

⁶ • ფაქტობრივი მარჯვენებლების წყაროა შესაბამისი საბიუჯეტო წლის შესრულების წლიური ანგარიშები
 • საგეგმო მარჯვენებლების წყაროა შესაბამისი საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი/კანონის პროექტი



რაც შეეხება უშუალოდ შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯებს, აღნიშნული შემცირების ტენდენციით ხასიათდება როგორც ხარჯების მთლიან ასიგნებებთან, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებთან და მშპ-თან მიმართებაში.



2019 წლის საგეგმო მაჩვენებელთან შედარებით, 2020 წელს მნიშვნელოვნად 63.4 %-ით (132.9 მლნ ლარით) იზრდება ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი, რაც მთლიანად სესხებზე მოდის მ.შ. მნიშვნელოვანი ზრდა შეეხო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამას - „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 14) (დამატებით 23.4 მლნ ლარი), ასევე, 2019 წელთან შედარებით დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში, ფინანსური აქტივების მუხლით, 100 მლნ ლარი არის გათვალისწინებული პროგრამული კოდით 56 13 05 „თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD)“, ხოლო 37.0 მლნ ლარი - თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის (EBRD) (პროგრამული კოდი 56 13 06) ფარგლებში.

ხარჯების მაჩვენებელი იზრდება 8.5%-ით (847.5 მლნ ლარი). ზრდა შეეხო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის თითოეულ მუხლს, (გარდა გრანტებისა რომელიც 7.9%-ით არის შემცირებული): მ.შ. ნომინალურ გამოსახულებაში, ყველაზე არსებითი ზრდა (407.9 მლნ ლარით) სოციალურ უზრუნველყოფაზე მოდის, 127 მლნ ლარით იზრდება როგორც საქონლისა და მომსახურების, ასევე, პროცენტის მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები, 106.5 მლნ ლარის ზრდა შეეხო შრომის ანაზღაურების მუხლით გათვალისწინებულ დაფინანსებას.

2019 წელთან შედარებით 5.8%-ით (55.7 მლნ ლარით) არის გაზრდილი **ვალდებულებების კლების მაჩვენებელი**. ზრდა ეხება როგორც საგარეო, ასევე, საშინაო ვალდებულებების კლების მაჩვენებლებს.

3.9%-ით (83.8 მლნ ლარით) იზრდება **არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი** აღნიშნული მიმართულებით ასიგნებები ყველაზე მეტად ეზრდება ისეთ მხარჯავ დაწესებულებებს, როგორებიც არის:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (დამატებით 125.5 მლნ ლარი) - ნომინალურ გამოსახულებაში ზრდა ძირითად ეხება ისეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორებიცაა: საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (25 02) (დამატებით 21.3 მლნ ლარი); რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (25 03) (დამატებით 22.5 მლნ ლარი); ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (25 07) (დამატებითი 97.7 მლნ ლარით დაფინანსება 11 მლნ ლარიდან იზრდება 108.7 მლნ ლარამდე).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (დამატებით 20.8 მლნ ლარი) - ნომინალურ გამოსახულებაში ზრდა ძირითადად ეხება ისეთ პროექტებს, როგორებიცაა: სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04) (დამატებით 10.6 მლნ ლარი); იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა (27 06) (დამატებით 10.0 მლნ ლარი).


საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (დამატებით 10.4 მლნ ლარი) - ნომინალურ გამოსახულებაში ზრდა ძირითად ეხება ისეთ პროექტებს, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (31 04) (დამატებითი 1.7 მლნ ლარით დაფინანსება 897 ათასიდან იზრდება 2.6 მლნ ლარამდე); სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (31 09) (დამატებითი 3.1 მლნ ლარი); გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის და განათლება მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობის პროგრამა (31 11) (დამატებითი 2.0 მლნ ლარით დაფინანსება 80.0 ათასიდან იზრდება 2.5 მლნ ლარამდე); გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (31 13) (დამატებითი 2.1 მლნ ლარით დაფინანსება 500.0 ათასიდან იზრდება 2.6 მლნ ლარამდე).

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით ასიგნებების მოცულობის ზრდა ეხება ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებულ სხვა პროგრამებსაც. მაგალითისათვის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (32 07) დამატებით მიიმართება 5.9 მლნ ლარი, მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის დაფინანსება (32 05) 137 ათასიდან 2.9 მლნ ლარამდე იზრდება (დამატებით 2.7 მლნ ლარი).

	2018 ფაქტი	2019 გეგმა	2020 წარდგენა I-II	2020 წარდგენა III	2020 III წარდგენა / 2020 წ. წარდგენა I-II		2020 III წარდგენა / 2019 გეგმა		2020 III წარდგენა / 2018 ფაქტი	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
სულ გადასახდელები	12,590.2	13,313.1	14,211.9	14,432.9	221.0	1.6%	1,119.8	8.4%	1,842.7	14.6%
ხარტები	9,543.7	9,999.1	10,670.3	10,846.5	176.3	1.7%	847.5	8.5%	1,302.8	13.7%
შრომის ანაზღაურება	1,407.6	1,469.5	1,562.0	1,576.0	14.0	0.9%	106.5	7.2%	168.3	12.0%
საქონელი და მომსახურება	1,288.3	1,246.4	1,321.4	1,373.7	52.3	4.0%	127.3	10.2%	85.4	6.6%
პროცენტი	513.0	624.0	720.0	751.0	31.0	4.3%	127.0	20.3%	238.0	46.4%
სუბსიდიები	419.5	435.1	517.4	516.5	-0.9	-0.2%	81.4	18.7%	97.0	23.1%
გრანტები	1,332.0	787.9	652.2	726.1	73.9	11.3%	-61.9	-7.9%	-605.9	-45.5%
სოციალური უზრუნველყოფა	3,501.3	3,886.9	4,318.0	4,294.8	-23.2	-0.5%	407.9	10.5%	793.5	22.7%
სხვა ხარტები	1,082.0	1,549.2	1,579.3	1,608.5	29.2	1.8%	59.3	3.8%	526.4	48.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,912.2	2,137.6	2,201.6	2,221.4	19.7	0.9%	83.8	3.9%	309.2	16.2%
ფინანსური აქტივების ზრდა	381.1	209.4	342.2	342.2	0.0	0.0%	132.9	63.4%	-38.9	-10.2%
სესხები	237.6	209.4	342.2	342.2	0.0	0.0%	132.9	63.4%	104.6	44.0%
აქციები და სხვა კაპიტალი	143.5	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		-143.5	-100.0%
ვალდებულებების კლება	753.2	967.1	997.7	1,022.7	25.0	2.5%	55.7	5.8%	269.5	35.8%
საგარეო	718.1	927.0	953.7	978.7	25.0	2.6%	51.7	5.6%	260.6	36.3%
საშინაო	35.1	40.1	44.0	44.0	0.0	0.0%	3.9	9.8%	8.9	25.4%


მხრილი : სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლნ ლარი).⁷

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურას მიმდინარე და კაპიტალურ ხარტებთან მიმართებაში⁸, 2020 წლისათვის მიმდინარე ხარტების შეფარდება მშპ-თან 21.5%-ით არის განსაზღვრული. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს (2021-2023 წლები), აღნიშნული საშუალოდ 21.6%-ის დონეზე იქნება შენარჩუნებული. კაპიტალური ხარტები (არაფინანსური აქტივების ზრდისა და ფინანსური აქტივების ზრდის ჯამი) 2020 წლისათვის მშპ-ს 7.3%-ს შეადგენს, საშუალოვადიან პერიოდში კი საშუალოდ 7%-ის ფარგლებში იქნება.



⁷ • ფაქტობრივი მარჯვენა მხარის წყაროა შესაბამისი საბიუჯეტო წლის შესრულების წლიური ანგარიშები
 • საგეგმო მარჯვენა მხარის წყაროა შესაბამისი საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი/კანონის პროექტი
⁸ წყარო: 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის თანდართული ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები - საბაზო სცენარი

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების მშპ-თან მიმართებას ცალკეული კომპონენტის დონეზე, როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, ბოლო წლების განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება შრომის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების, სხვა ხარჯების მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებები. ზრდის ტენდენციით ხასიათდება სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გამოყოფილი თანხები.



რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, წარმოდგენილი კანონპროექტით მისი მოცულობა განსაზღვრულია 2,766.8 მლნ. ლარით, რაც 2020 წლის თავდაპირველი და გადამუშავებული პროექტით წარმოდგენილ მაჩვენებელს 139.0 მლნ ლარით აღემატება (მ.შ. 50.0 მლნ ლარით იზრდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი), ხოლო 2019 წლის საგეგმო მაჩვენებელზე კი 329.3 მლნ ლარით მეტია. ეს უკანასკნელი ძირითადად უკავშირდება დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების ზრდას 161.1 მლნ ლარით, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება იზრდება 90.0 მლნ ლარით, 98 მლნ ლარით და 77. მლნ ლარით იზრდება საშინაო და საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართული სახსრები. რაც შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა კომპონენტებს, 2019 წლის გეგმასთან შედარებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი მცირდება 60.0 მლნ ლარით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები მცირდება 49.6 მლნ ლარით (მ.შ. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად იზრდება 4.6 მლნ ლარით, ხოლო სპეციალური ტრანსფერი მცირდება 54.2 მლნ ლარით), იგივე მაჩვენებლების დონეზეა შენარჩუნებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი (50.0 მლნ ლარი), წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (20.0 მლნ ლარი), მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი (20.0 მლნ ლარი). 13.0 მლნ ლარია განსაზღვრული საერთაშორისო

პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, (2019 წელს არ იყო გათვალისწინებული), რომლის განკარგავაც განხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მლნ ლარი

კოდი	დასახელება	2018 ფაქტი	2019 გეგმა	2020 წარდგენა I-II	2020 წარდგენა III	2020 III წარდგენა / 2020 I-II წარდგენა	2020 III წარდგენა / 2019 გეგმა	2020 III წარდგენა / 2018 ფაქტი
56 00	საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,656.2	2,437.5	2,627.8	2,766.8	139.0	329.3	110.6
56 01	საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	983.6	1,273.0	1,320.0	1,350.0	30.0	77.0	366.4
56 02	საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	279.3	318.0	390.0	416.0	26.0	98.0	136.7
56 03	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები	17.2	10.2	10.0	10.0	0.0	-0.2	-7.2
56 04	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	1,241.7	180.6	131.0	131.0	0.0	-49.6	-1,110.7
56 05	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	0.0	50.0	40.0	50.0	10.0	0.0	50.0
56 06	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	5.0	20.0	10.0	20.0	10.0	0.0	15.0
56 07	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0.0	410.0	300.0	350.0	50.0	-60.0	350.0
56 08	მაკალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.0	20.0	20.0	20.0	0.0	0.0	20.0
56 09	საქართველოს სახელმწიფო ჭილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა	0.2	0.2	0.2	0.2	0.0	0.0	0.0
56 10	საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საოპერაციო ხარჯებისა და სხვა ვალდებულებების თანადაფინანსება	0.7	0.7	0.7	0.7	0.0	0.0	0.0
56 11	დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება	79.6	110.0	200.0	200.0	0.0	90.0	120.4
56 12	საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა				13.0	13.0	13.0	13.0
56 13	დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები	45.7	44.8	205.9	205.9	0.0	161.1	160.2
56 14	ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონიძიებები	3.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-3.2

ცხრილი : საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (მლნ ლარი)


• წყარო: 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტი

რაც შეეხება ჯამურად სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვას, აღნიშნული მიმართულებით 2020 წლისათვის დაგეგმილია 1,766.0 მლნ ლარის მიმართვა, მ.შ. პროცენტის სახით 751.0 მლნ ლარი იქნება მიმართული, ვალდებულებების დაფარვას კი მოხმარდება 1,015.0 მლნ ლარი.


		მლნ ლარი						
	დასახელება	2018 ფაქტი	2019 გეგმა	2020 წ. წარდგენა I-II	2020 წარდგენა III	2020 III წარდგენა / 2020 I-II წარდგენა	2020 III წარდგენა / 2019 გეგმა	2020 III წარდგენა / 2018 ფაქტი
	სულ სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	1,262.9	1,591.0	1,710.0	1,766.0	56.0	175.0	503.1
	ხარჯები (პროცენტი)	513.0	624.0	720.0	751.0	31.0	127.0	238.0
	ვალდებულებების კლება	749.9	967.0	990.0	1,015.0	25.0	48.0	265.1
56 01	საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	983.6	1,273.0	1,320.0	1,350.0	30.0	77.0	366.4
	ხარჯები (პროცენტი)	268.7	346.0	370.0	375.0	5.0	29.0	106.3
	ვალდებულებების კლება	714.9	927.0	950.0	975.0	25.0	48.0	260.1
56 02	საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	279.3	318.0	390.0	416.0	26.0	98.0	136.7
	ხარჯები (პროცენტი)	244.3	278.0	350.0	376.0	26.0	98.0	131.7
	ვალდებულებების კლება	35.0	40.0	40.0	40.0	0.0	0.0	5.0

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ასიგნებები 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი სფეროების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული:


სახელმწიფო ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაცია



2019 წელთან შედარებით, დამატებით ჯამურად 530.9 მლნ ლარი მიიმართება ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სოციალური დაცვის სფეროების დასაფინანსებლად და დაფინანსების საერთო მოცულობა 6,206.8 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული სფეროების დაფინანსების დინამიკა მშპ-თან მიმართებაში მზარდი ტენდენციით ხასიათდება და 2020 წლისათვის მშპ-ს 11.7%-ით არის განსაზღვრული.



2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, 2020 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:



აღნიშნული პრიორიტეტებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მიხედვით ოთხი უმსხვილესი პრიორიტეტია:

- **ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 4,313.5 მლნ ლარი, მთლიანი ასიგნების 29.9% (2019 წელთან შედარებით გაზრდილია 386.8 მლნ ლარით). ბოლო წლების განმავლობაში⁹, აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსების საშუალო წლიური ზრდის ტემპი დაახლოებით 11%-ს შეადგენს.

აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსების ფარგლებში, მნიშვნელოვანი მოცულობის ასიგნებები - 72.5% და 25% შესაბამისად მოდის მოსახლეობის სოციალური დაცვასა (პროგრამული კოდი 27 02) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე (პროგრამული კოდი 27 03).

- **რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი** - 2,202.3 მლნ ლარი, მთლიანი ასიგნების 15.3%. (2019 წელთან შედარებით გაზრდილია 178.8 მლნ ლარით). ბოლო წლების განმავლობაში, აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსების საშუალო წლიური ზრდის ტემპი დაახლოებით 11%-ს შეადგენს.

აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსების ფარგლებში, 59.7% მიიმართება საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 25 02), 11.9% - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (პროგრამული კოდი 25 03), 11.7% - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე (პროგრამული კოდი 25 04), 6.8% - ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციაზე (პროგრამული კოდი 25 07).

- **თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - 2,078.4 მლნ ლარი, მთლიანი ასიგნების 14.4% (2019 წელთან შედარებით გაზრდილია 35.0 მლნ ლარით). ბოლო წლების განმავლობაში, აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსების საშუალო წლიური ზრდის ტემპი დაახლოებით 4%-ს შეადგენს.


